
„მართლა აქ სულ სხვა არის ნათქვამი, მაგრამ გულში კი სწორეთ ისა ჰქონია დამწერს, რასაც ჩვენ ვამტკიცებთო“. გაიძახიან ის ვაჟბატონები.— მოდი და ახლა მათ ელაპარაკე! სხვები ამბობენ, უღროო დროს ითქვა და საფიქრელი იყო, რომ ბევრი უტუღმა გაიგებდაო!“. ფიიიე! მაშ ჭეშმარიტება მის დღეში ევლარ თქმულა?! როდის ყოფილა და რომელი ჭე-შმარიტება, რომ მოწინააღმდეგე არ ყოლოდეს? რომელი ისყალბე ყოფილა, რომ მომხრებიც არ ეშოვნოს?. სახარების სიტყუებსა და მოციქულთა ქადაგებას სულ სხვანაირად ხსნიდენ ფარისევლები და მაშ აღარ რა უნდა თქმულიყო? პირველ საუკუნოებში კერპები განძრახ აუწმინდურებდენ ქრისტიანების დოღმატს და მაშ ქრისტიანობაც უნდა შეფერხებულიყო?—მე ჩემ იმ ზემომოაყენილ სტატიაში, მოქრთამობის და სიყა-ღბის წინააღმდეგ ეწერდი და ესენი კი მიმტკიცებენ „ქრთამის აღებას ურჩევენ ქვეყანასო“. ვიშ! რა დასაჯერებელია!.. მაგრამ ეგება მართლა, როგორც საწყალსა და უმანკო ხალხს არ ესმოდადეთ იმ ვაჟბატო-ნებს, თუ რა არის ქრთამი? მაშინ ვალდებული ვართ ჩვენ აეუხსნათ!

მე რომ ვისთანმე მივიდე და უთხრა: „წინა-ღმდეგ ჩემი რწმუნებისა მოგეზმარები საქმეში, მა-გრამ აძლენი და ამდენი სასიყდელი მოამცი-მეთქი!“ იმანაც მომცეს, ე. ი. მომიყიდას, და მეც ავილო. აი, ამ სადალობას ქეთა ქრთამი. ეს ყველამ კარგად იცის და ჩემმა მოწინააღმდეგე ვაჟბატონებმაც იცი-ან, მაგრამ, რომ ქრთამი ამას გარდაც კიდევ მრავალ-გეარია, იმაზე კი აღარას ამბობენ!.. მაგრამ პირიქით ჩვენ დავეკითხებით: 1)ერთი კაცი რომ ვისმე ემტე-რებოდეს, გუშინ ელანძლოს და ხელაღც კიდევ, იმე-ღდა, გალანძლოს, მაგრამ დღეს კი ესარჩლებო-დეს იმ აზრით, რომ მისგან ფული ისესხოს და ან ეგქსილზე ხელი მოაწერიოს, ქრთამია თუ არა? 2) კაცი სხვა კაც-საგან პოტუტკეას გამოელოდეს და იმ განძრახებით, რომ მოვიმადლიერო, ის აქოს და მისი უსიამო, ვინც არი, აძავოს, ქრთამია თუ არა? 3) რამე გამოსარჩენ ადგილს რომ ელოდეს, ქრთამია თუ არა? 4) უწეროსმა რომ შინის გამო უფროსს ნება შეასრულოს, ქრთამია თუ არა? 5)ლამაზმა ქა-ღმა რომ გთხოვოს; თუ „ვიყავრეარ ამა-და-ამ კაცს მოეხმარე! ესე და ეს საქმე ასე გააკეთე შენი რწმუ-ნების წინააღმდეგი და შენც პატარა ხათრი გაუწიო იმ ღამაზს, ეს ქრთამი იქნება თუ არა?.. ამ გვარი რამეები, ბევრი ვახლავსთ, მაგრამ ზოგიერთები ვალდებული არიან ამავეს ყველას თვალი აარიდონ, ეითომ ვერა ეხედეთო, რე სიტყვა ბანზე ავდონ ხო-ღმე, ეჰ, რაღა ბევრი ითქვა?! ყველამ იცის სად არის სიმატლე, სად არა? მაგრამ თვეზისა არიყოს ყვე-ღოს პირში წყალი უდგას.

ზოდოშს ვიხილ მკითხველთა, რომ ეს ჩემი პა-სუხი ვაგრძელდა, მაგრამ რა ექნა?.. ოცდაათი წელი-წადია ცილსამწამებენ და ჩემი პასუხიც რომ ოცდა-ათი წამი ვაგრძელდეს, ეკონებ ბევრი არ იყოს.

აკაო

მეკობრისადმი

**ქ** ემო კარგო, თვალის ჩინო, გულკეთილო, მეგობარო! არ შეცვალა ჩემზე გული, მით სიცოცხლე არ მამწარო.

თუ არა ვართ ჩვენ დღეს იგი რაც ვიყავით გუშინ წინა;

სულით კი ნუ დავეცემით, გართ ვიყოთ, თუ გინდ შინა.

ასე არის ეს სოფელი: კაცს ბურთსავით აგროავენს; ხან ბედს აძლევს, გააკეთებს, ხან ყველაფერს წააწარებს.

მაგრამ კაცი უნდა იყოს გულ-მაგარი, უშიშარი;

მას არ უნდა შეუშინდეს,  
რაც ამ სოფლის წესი არი.

მცნებად შრომა და სიმაჰოლე  
უნდა ქონდეს მიღებული.  
მოიხვეჭოს თვით უფლებმა  
და მძიმეთა სიყვარული.

ღეე მერმე: თუ გინდ მოკედეს!  
არ იქნება შესაბარლი,  
რადგან მას არ დაუყარავს  
ცხიერებაში გზა და კალი.

მხსკილაძე

### საგრაამატიკო კვლევა.

შუბღვი \*)

**შ**ნდა მოგახსენოთ, რომ თვით ამ გვარი ზმენ-  
ბიც ვერ ასცილებიან საზოგადო, საერთო კა-  
ნონას და ზოგიერთ ფორმებში იმატებენ თავ-  
სართებს:

გაე-პურაძეირდება გაე-გუთნისდედდები  
გაე-დიდგულდები გაე-სულდგმულდები და სხვები...

სხვა.და-სხვა მწერალთა ნაწერებიდან ამოღებულ  
წინადადებათა სინტაქსური გარჩევა ჯერჯერობით  
ნაარჩევი გახლავთ. ჯერ უნდა დავინახოთ თვალთ ქა-  
რთული სინტაქსი, აწწონოთ, დაწწონოთ და შემდეგ  
ეუსტიკონოთ ისეთ პირს, როგორც არის—აკაკი. ამა-  
სთან, უნდა გვახსოვდეს, რომ იმ პირთ, რომელთაც  
თავისი ნაწერებით შეუეყარებიათ მთელ საქართვე-  
ლოსათვის სამშობლო ენა, ნება აქვთ, იქონიონ  
საკუთარი ენის ზოგიერთ შემთხვევაში თავისებუ-  
რობა. იყავით დარწმუნებულნი, რომ ხალხს ყოვე-  
ლდღე მათი გამოთქმა კარგათ ესმის, მით უმეტეს,  
რომ მათი ენა არ არის მოკლებული სამშობლო  
ნიადაგს. მაშასადამე არც არაფერი ფუჭდება იმით,  
„ჰქვიანი“ იქნება ხმაარებული აკაკის მიერ, თუ  
„ჰქვიერი“, „სწორი“, თუ „სწორე“ და სხვა ამ გვა-  
რა... პოეტს გაუგონია ხალხში ერთიცა და მეორეც  
და ამასთან უტყნია ღირსად შეტანისა თავის  
ნაწერებში ის ფორმები, რომელნიც მას მოსწონებია  
და უფრო კანონიერად უტყნია. ახლა თუ გინდათ  
ამ შემთხვევაში მწერალთათვის შეიქმნეთ გზის მა-  
ჩვენებლად, დაუმტკიცეთ მათ კანონიერობა ერთისა,  
ანუ უკანონობა მეორისა შესაფერი საგრამატიკო  
კვლევა-ძიებით და პრა, რადაც საეჭვო, ვითომც

ლოგიკაზე დამყარებულ, საო.უჯო გასართობებით,  
როგორც მაგალითად: „ფეხების დღე რაოდისლანა“...  
„ფუთი მარხალი სად გაგონილა?“ და სხვები...

განყენებულ საგანთა სახელწოდებებთან სწა-  
რმოებს ქართულში ზედმესრულები ორი დაბოლო-  
ებით: „იანი“, „იერი“.

ხმა — ხმიანი — ხმიერი ხანი — ხნიანი — ხნიერი  
გონება — გონებანი — გონიერი  
ლონე — ლონიანი — ლონიერი  
მადლი — მადლიანი — მადლიერი  
ჰქვა — ჰქვიანი — ჰქვიერი...

ხოლო რადესაც ზედმესრული ნიშნავს რაიმე  
ნითეიერი საენის კუთვნილებას, მაშინ ამ გვარი  
ზედმესრული არ იქარებს მეორე დაბოლოებას და  
ამისათვის ვამბობთ:

ფულიანი — და არა: ფულიერი ქანებიანი — ქანიერი  
ცხვირიანი — და არა: ცხვირიერი პირიანი — პირიერი  
თავიანი — თავიერი კულანი — კულიერი და სხვები

ბ-ნ სიმონიძეს კარგა მოეხსენება, რომ არც  
ერთს ენაში არ არსებობს რაიმე სწორთქმა, რო-  
მელსაც არა ჰქონდეს გამოსაკლები. მაშ რატომ შე-  
საძლებლად არ მიაჩნია ბ-ნ სიმონიძეს, რომ ქარ-  
თულშიაც ერთგვარ ზედმესრულთა შეიძლება ქა-  
ნდეთ ორივე დაბოლოება. ხოლო მეორე გვართ  
კი მარტო ერთი. ამის გამოტყუვნებით განა ვინმე  
„ხრამზე ვადიხსენება?“ (საოხუჯო გასართობი...)

უნდა მოგახსენოთ, აგრეთვე გაზვიადებული ში-  
ში აქვს ბ-ნ სიმონიძეს, რომ სწორე“-ს ნაცვლად  
„სწორი“-ს თქმით აკაკის არ გამოუვიდეს „ერთი  
კვირა“. თვით „კვირა“-ს ჩვენში შეიდი და ღღის მნი-  
შენელობაც აქვს და ერთი დღისაც, მაგრამ დამერ-  
წმუნეთ, ქართველი ისე არ გამოთქვამს, რომ ეს  
ორა მნიშვნელობა ერთი სიტყვისა ერთა ერთმა-  
ნეთში აურ-დაურთოს. სწორედ ასევე, რადესაც  
სიტყვას „სწორი“ ქართველი აძლევს ერთი კვირის  
მნიშვნელობას, მაშინ ის არ საქირავებს ბ-ნ სიმო-  
ნიძის კომენტარიებს და გამოსთქვამს ზოლმე ისე,

\*) იხილეთ „კვალი“ № 36.

რომ ერთს წამში გვაგაგებინებთ, თუ რა მნიშვნელობას აძლევს იგი ამ სიტყვას. სიტყვას „სწორი“ სანი მნიშვნელობა აქვს ქართულში და არა ორი, როგორც ბძანებს ბ-ნი კომენტატორი: 1) იგი ნიშნავს რაიმე საგნის არამრუდობას (სწორი—ხალხში და ლიტერატურაში იხმარება აგრეთვე „სწორე“.), 2) სწორი—ბადალი, 3) სწორი—კვირის დასასრული დღე და არა „ერთი კვირა“, როგორც გვიჩვენებს ბ-ნი სიმონიძე. (ეს ორშაბათი, მაგალითად, იმ ორშაბათის სწორია) ბ-ნი სიმონიძის შენიშვნას შესახებ სიტყვისა, „სწორი“, თუ აქვს ვისთვისმე რაიმე მნიშვნელობა, ისიც უტყუართათვის, რომელთაც ლექსიკონით უნდა ინფორმირებულონ ამ შემთხვევაში, თორემ თვით ქართველთათვის, აბა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვარდა როგორც სახუმარო გასართობისა. „მართალია, თუ დავაკვირდებით კარგად, აღმოჩნდება, რომ სიტყვას „სწორი“ სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს ზეჰრად გისსკაჰუჰლი იმ აზრისაგან (?), რომელიც გამითქმის სიტყვით სწორე, ავიღოთ ფრაზა: სწორიდან სწორამდის (ფრაზა?!). რას ნიშნავს იგი?—დროსა ორშაბათიდან მეორე ორშაბათამდის, კვირიდან მეორე კვირამდის, ამის გამო ხშირად სიტყვა სწორი იხმარება ნაცვლად ერთის კვირისა. ერთი სწორი დამიგვიანდა ქალაქში, ერთი სწორა დაერჩი სოფელში“.

რათა ჰქონია ბ-ნი სიმონიძის ასე? რა მიზეზით არ შეიძლება „სწორადან სწორამდე“ ნიშნავდეს, მაგალითად, ბადალიდან ბადალამდე, ანუ არა მრუდიდან არა მრუდმდის. მეორეც ესა, ქართველები იტყვიან: სწორამდე დამიგვიანდა ქალაქში, სწორამდე დაერჩი სოფელში და არა ისე, როგორც ბძანებს ბ. სიმონიძე.

ყოველი ასეთი ახირებული მსჯელობა ბ-ნი სიმონიძისა შედეგია იმისა, რომ იგი ჯერ არ დაჰკვირვებია კარგად საზოგადოთ ქართულ ომოფონებს \*) და ამასთან უზრალო ლოგიკური დაკვირვება მას მიანიჩა ხოლმე ყოველთვის საგრამატკო შენიშვნებად. ეს არის აგრეთვე მიზეზი, რომ ბძანებულ სა-

\*) ბ-ნი სილოგანა შეეცდამით უწოდებს ომოფონებს ომონამპათ. სინონიქები, ანუ ომონამპები დიდად განიხილვიან ომოფონებისაგან. მაგალითებით დაცხასიკებით შეითხველებს. სიტყვები: საწყალი, ღირბი, დატკი და სხვა ამ გვარი იქნებიან—სინონამპები, ანუ ომონამპები, და არა ომოფონები, რადგანც ყოველი ამ სიტყვათაგანი ერთისა და იმავე მოკლეის გამომოსტკვლენი არაინ. რაც შეეკება ომოფონებს, ესენი სომ ჰყენ ასინდილი გვაქვს ამავე წერილში.

გრამატკო სჯა-ბაასის ნაცვლად მომეტებულ შემთხვევაში მას გამოხდის ხოლმე „საოხუჯო გასართობი“.

ხალხში ერთი იხმარება და მეორეც:  
 მრუდი—მრუდე სწორი—სწორე  
 მდარი—მდარე მჩატი—მჩატე...

ენას საკვირად უცენია ორი დაბოლოებით ხმარება ამ ზედმსრულოთა. შესაძლებელია, ამ საშუალებით რაიმე განსაზღვრულ მნიშვნელობას აძლევდეს იგი ერთისა და მეორე რიგის სიტყვის აზრს, რასაც ჩვენ ჯერ ვერ მივხვდარვართ. მაშასადამე ერთად ერთი მიზანი მკვლევართა ამ შემთხვევაში იმაზე უნდა იყოს მიტყული, რომ მიუხვდეს ენის საიდუმლოებას და არა უმიზეზოთ უყოყნოს მწერალთა: ავი კანონიერა და იგი არაა...—რათა? საბუთი განა საოხუჯო გასართობები საბუთად შესაწყნარებელი იქნება?..

ეს ოთხი შენიშვნა ბ-ნი სიმონიძისა ღირსად ეცნონთ ვარჩევისა, ხოლო დანარჩენნი, ვითარცა ლმუცლოვები აკაკისა, ფრიად წერილობანი არიან დეერ გამოუუღვლებით მით ვარჩევას სიწერისა მინისა და უმნიშვნელობისა გამო; მით უმეტეს, რომ ყოველ ჩვენთაგანს უფრო უარესი შეცდომებითა გვაქვს საესე ჩვენი ნაწერები. მაგალითებისათვის შორს არ წაველთ. ავიღოთ გასარჩეად თუნდ ბ-ნი სიმონიძის კრიტიკა და ანტიკრიტიკა.

ფარმების შეუსაბამო ვარევნობა, აზროვნებაში ლოგიკური არევედარევა, შეუსაბამო ტერმინების ხმარება და სრული მოუშხადებლობა—აი, ჩამკვლარი დალი ამ ნაწერებისა.

1) ბ-ნი სიმონიძე სხვათა შორის ბძანებს „ეს ხომ მიუტყებელი, მამაკედევი (?) ცალდა ლუკადრისობა იქნებოდა ..... რომ მოხერხებულ შემთხვევა (შემთხვევა და მოხერხებულო?—რად შემთხვევა იქნება იგი?..) არ მოგეცეს შენის აზრის გასაზიარებლად, გამოსამხვევებლად“ (?).

„მომაკედევი“ ნიშნავს კაცსა, რომელიც კვდება, სულს ლევს (умирающий), სიტყვას „მამაკედევი“ კი სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინც იგი სხვას ჰკლავს სულს ალვეინებს და არა თითოთველბა, სულს ლევს (умершляющий). ევონებთ ამაზე ბ-ნი სიმონიძეც დაგეთანხმება, რომ სიტყვა „მამაკედევი“ უადგილო ადგილას აქვს ნახშირი შემთხვევაში და მაშასადამე უნდა გდაკეთდეს მეორესიტყვად: მომაკედევიებელი.

ერთი ეს მიბრძანეთ, რომელ ქართულს გავითვალისწინებდით? აზრის გამოსამხვევებლად ბ-ნი სიმონიძის აზრი განა ისეთი რა დამალი და ობ-

მოკიდებული ფარატინია, რომ გამოშვებებს საკურობებს?

2) შემდეგ ბ-ნი ავტორი ბოღოშს იხდის აკაცის წინაშე, რომ პასუხი დაუტყვიანა და ამასთან დაიმედებულიც ბძანდება, რომ აკაცი შეიწყნარებს იმ პასუხს დაგვიანების საბუთს, რომელიც მას წარმოუდგენია. აი, თვით საბუთი:

„ერთმა საარაკო სიბრმავემ ხალხის განათლებაში ღროით (?) გაძლოლა (?) მოინდომა და იმან (იენ?—სიბრმავემ?) დამაგვიანა“.

ერთი ეს მიბძანეთ, რაკი ს-ბრმავეს გასძლოლიხბარ, როგორღა ჰმედაეთ და შესწყნარებულ საბუთად იყენეთ ამისთანა არა საკადრის\*) საკციეგლს?..

ბ-ნ სიმონიძეს ამ ადგილას ასე უნდა ეთქვა: „ერთმა საარაკო სიბრმავემ ხალხის განათლებაში ჩემგან ღროზე შემბრძოლება მოინდომა და ამან (და არა იმან) დამაგვიანა“.

3) „ამასთან საფუძელიაობით მიწუნებს აკაცი ფონეტკურს ანალიზს ხსენებულს სიტყვისას (ბუნდოვანი გამოთქმა—ხსენებულ სიტყვის ფონეტკურ ანალიზსა)? ჩვენ იგი დევანწილეთ, ანუ დეშალეთ ამ საბით: ალ-გ-იარ-ებ. პირველს ნაწილს დავარქვი პრეფიქსი (თითოჲ პირის მაჩვენებელი კი პრეფიქსი არ იყოს), მეორეს პირის მაჩვენებელი, მესამეს ძირი სიტყვისა, მეოთხეს დაბოლოება ღროისა“ (?).

განა დაშლა სიტყვებისა თავის შემადგენელ ელემენტებზე (образовательные элементы) ფონეტკური ანალიზი იქნება? ფონეტკა არის მეცნიერება, რომელიც ეწება ზგერთა შესწავლას (наука о звуках). მამასადამე თქვენ რომ დაშლილ, დაწყოლილ სიტყვაში მოგებდით ფონეტკური ანალიზი, მაშინ იარს ნაწილად კი არ დაშლიდით იმეჲ სიტყვა „აღვიარებ“, არამედ 8 ნაწილად, რადგანაც თქვენ მიერ მოყვანილი სიტყვა შედგება 8 ზგერისაგან. როცა ევაზობთ და ეწერთ კდღც:

აღვიარებ—აღვიარებდი—აღვიარებდე  
ეაკერებ—ეაკერებდი—ეაკერებდე  
ვანდომებ—ვანდომებდი—ვანდომებდე...

დაღ, „ეებ“ ღროის დაბოლოება კი არ იქნება, არამედ ზმნის უბრალო სუფიქსი. ძირი მაგ სიტყვას არც რ იქნება, როგორც აკაცი ბძანებს, არც „იარ“ ბ-ნ სიმონიძისა. ძირი იქნება—არ: ე-არ, ხ-არ, არ-ის, „ი“ აჩვენებს, რომ რაიმე საგანი სულოიერი, თუ უსულო არსებობს ვისთვისმე (შედაღრეთ: კეთება—ვიკეთებ, ესე იგი ჩემთვის ვაკეთებ.

წერა—ვიწერ—ჩემთვის ვწერ  
კერა—ვიკერა—ჩემთვის ვკერა).  
etc... etc...

შემდეგ—ვისთვის არსებობს?—ამაზე პასუხს გვძლევს პირის მაჩვენებელი ელემენტი. ამ გვარად აკინძული ელემენტები „აღ-ვი-არ“ სხვა სიტყვებით შეგვიძლია ასე გადავცეთ მკითხველებს: „მალა ჩემთვის არსებობს“, ბოლო სუფიქსი „ებ“ ზმნად ჰქმნის, ანუ აზმნავებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელ ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებას და გამოდის ასე: „ევაზობ, ვკერა, ვიჯერებ, რომ მალა ჩემთვის არსებობს, ანუ „აღვიარებ“. ამ გვარად სიტყვა „აღვიარებ“ უნდა დაგეშალათ თავის შემადგენელ ელემენტებზე ასე: აღ-ვი-არ-ებ, და არა ისე, როგორც თქვენ დაწავილეთ.

4) ბ-ნი სიმონიძე ბძანებს ამასთან: „სხვანი მაიხიოს (?) და თვითან სეირი (?) გვიქვიროს“. ქართულად არ ითქმის: სეირი გვიქვიროს, არამედ სეირს გვიქვიროს, სეირს ვუქვირო, სეირს უქვირის და სხვა... ამასთან ძალღებებს მისგვა გაგვიგონია და აღამიანებესა კი არა, უფრო მომეტებულად—დაბასრულ სჯა-ბაასში. თუ ლოგიკას მისდევთ, აქ უფროა საჭირო იყო, იგი მოავტმარათ, რომ ადამიანები ძალღებათ არ დაეცახათ.

5) „ამ უსიამოვნო კითხვას მხოლოდ მაშინ აიცილებთ თავიდან, რადგანაც პირველ სიტყვას მიუმატებთ მიცემით ბრუნვაში ას-ას (?) ს, რადგანაც პირველი ს სიტყვის ძირის ნაწილია (?)“.

აქ მძიმე შეცდომებია. პირველი ესა „ს“ სიტყვის ძირის ნაწილი კი არ არის, არამედ ნათესაობითი ბრუნვის ელემენტისა. შემდეგ ამისა ნათესაობითი ბრუნვა სიტყვიდან „თავი“ იქნება „თავის“ (თავ-სი—თავისი). გავშინჯათ, როგორ უღელილდება ქართულში ორი არსებითი სახელი, რომელთა შორის პირველი სახელობითი ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებითი მოუძღვის მეორეს:

მამის შეილი, დედის ნება, პატრონის საფლავი  
მამის შეილისა, დედის ნებისა, პატრონის საფლავისა  
მამის შეილის, დედის ნებასა, პატრონის საფლავსა  
მამის შეილით, დედის ნებით, პატრონის საფლავით  
მამის შეილში, დედის ნებაში, პატრონის საფლავში  
მამის შეილზე... დედის ნებაზე... პატრონის საფლავზე...

აქედან ეტყობილობთ, რომ პირველი არსებითი სახელი (ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებით) არა ბრუნავს, არ იცვლება მთელს კანკლილობაში, და უცვლელად ემატება ბოლომე მარტად დაბრუნებულს არსებითი სახელს. ეს საზოგადო კანონია, არის მავალითები სხვარიგი ნათესაობითი ბრუნვის

\*) და არა საკადრისს.

ხმარებისა, საცა არა თუ არ იმატებს ასევე ბრუნ-  
ვით ელემენტებს, არამედ იკეცვას კიდევ ნაბოლარ  
ბეგრას მოცემით. მაგალითად—პროგრებითი სა-  
ბელთაყალი—მე, ნათესაობითი ბრუნვა ამ სიტყვი-  
დან იქნება—ჩემი.

ჩემი იმედო ჩემი იმედისა } ჩემი ღლე ჩემი ღლისა  
ჩემ იმედსა ჩემი იმედით } ჩემ ღლესა ჩემი ღლთ-  
ჩემ იმედში ჩემ იმედზე... } ჩემ ღლეში ჩემ ღლეზე...

აქედან:

თავისი ღლე თავისი ღლისა თავის ღლესა  
თავისი ღლთ თავის ღლეში თავის ღლეზე...

მართალია, ვამბობთ ხოლმე ორგვარად: ჩემ  
იმედსა და ჩემს იმედსა, ჩემ ღლესა და ჩემს ღლესა,  
მაგრამ თავის ღლეში არ ეიტყვიით თავისი ღლესა,  
თავისი ღლეში, თავისი ღლესა, საკადრისის საქციელ-  
სა და სხვა. ამასაც თავისი მიზეზი აქვს. საოხი ამ-  
ზობს: ცისარტყელა და არა ცისარტყელა, ცამეტა  
და არა ცამეტი (ათი+სამი+მეტო), ვანულებს და  
არა ვანნელებს (ვან+ნელ(ი)+ებ+ა)... ისმინონ  
და გაიგონონ იმ ვაე-ბატონებმა, რომელნიც ჰედ-  
დენ და თავს ვახსენებენ არ საქირო ორთოგრა-  
ფიას, რომ ქართული ენა ერადება ორ თანაბარ თა-  
ნახმ-განათა შეხვედრას სიტყვეებში; გარდა იმ შემ-  
თხვევისა, როდესაც მთავრ თანაბარი თანახმოვანი  
აძლევს მთელ სიტყვას რაიმე განსხვავებულ მნი-  
შენილობას, მაგალითად: ვაგეტონისდედ-დები, ვე-  
დიდ-დები, წერილმანნი (მრავლობითში, რომ მხო-  
ლოობითი არ გამოედეს) და სხე..

განა რა განსაკუთრებითი მნიშვნელობა უნდა  
მისცეს „ს“მა საკმათო სიტყვებში მაშინ, როდესაც  
შემდეგი სიტყვები გვატყობინებენ ბრუნვასაცა და  
რიცხვსაც: თავის ღლესა, თავის ღლეებსა, საკადრის  
საქციელსა და სხე..

ჩვენი წერა-კითხვის ერთად-ერთი ბედნიერება  
ისაა, რომ ორთოგრაფია ჩვენში არც არსებობს და  
არც გავიწყობა. ამით ალტაცებაში მოდიან, ცვიფრ-  
დებიან უცხოელები (მოაგონეთ უსლარის ამბავი),  
ჩვენ კი არაფერად ეუფასებთ ამ ბედნიერებას. წარმო-  
იკანეთ, ახლა მეცხრამეტე საუკუნეში გვებადებიან  
ისეთი ევაბატონები, ამ ჩვენი ერის ნამდვილ ღირსე-  
ბათა არა მკოდნერი, რომელნიც ჩვენ მოძღვრებას  
ჩემულობენ, რაღაც სხოლასტიურ აბა-უბდას გვი-  
წერენ და თავზე გვახევენ ამ მოუხედებელ ქირს,  
ორთოგრაფიას.


ბ-ნ სიმონიძის მართლ-წერით უნდა ეთქვას:  
„თავის ღლესა“, მაგის ამბავსა, ხალას ოქროსა...  
რათა?—ჰკითხეთ პედაგოგსა და გიპასუხებთ გულის  
დაწყებით: „მამ, ვა, ფრანგებს, რუსებს და სხვებს  
თავსატები ორთოგრაფია ჰქონდეთ და ჩვენ? მითომ  
ვის რა ვირი მოეპარეთ, რომ არა გვიკონდესო იგი?“

სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, ამ ბოლო  
ღროს ჩვენი მწერლები ქართულ ენას ისე ეტყვიან  
როგორც ეტყვიან ძველ ღროის პედაგოგნი ხა-  
სიათ-ვაჟუტუხულ ბავშებს. მაგრამ არ უნდა დაივი-  
წყონ, რომ ყოველი ენა, თვით დაბალ ფარ-  
მაციაში მყოფიც კი, თავის კელობაზე ჰასაქში მო-  
სული, ბრძენია და არა ბალლი და მაგრე ადვილად  
არ დაწნებდება კრიტიკის ასაკრავათ ძალად მაცხო-  
ნებს!..

ახლა გავშინჯოთ, თუ რა გვიჩინა მომხადებით  
ჰკიდებენ ხელს საგრამატიკო საკითხ-ვების გარჩევას  
ჩვენი სხოლასტები.

კ. დიდაშვილი

(შემაგოა ქება)



მეფე ერეკლე მეორის დროს მომხდარი კრება



ხალციხის წმ. იოან. ნათლის-მცემლის ეკ-  
ლესიის საერო სასწავლებლის საწიგნოში და-  
ცულია ერთი ძველი ხუცური ხელ-ნაწერი  
დაეთონი, 5 X 3 1/2 სიგრისისა და ვერსოკ-ნახევარი სი-  
სქით ძველს ქაღალდზე. სულ ცოტა რომ ვთქვათ,  
თვით დაეთონი სამსი წლის დაწერილი იქნება. ბო-  
ლოში ესრეთა წარწერა აქვს ხუცურადვე:

ესე ხელთწერილი დაძველებული დაეთონი გე-  
თსამანის საყდრის ლეთისმშობლისა არის. მე ცოდ-

ვილმან მღვდელმან ნუნის კანდელაკმან შეცვარ, და-  
წერე სადაც აკლდა და გაეკეთე სულისა ჩემსა  
საოხად, შენდობასა ბძანებდეთ წერილისა კეთილად  
აღმომკითხველნი ძმანო და მამანო; ქორიანკონსა  
უმე:

ამ დაეთონის თვეში ჩაკრებულთა კრების ძვე-  
ლი ძველ-წერილი ამავე მღვდლის ხელ-ნაწერი  
ასრე, რომელსაც უნაკლებოდ ეწერ ღედანისებრ:  
„სათნოეთითა ლეთისაი ყოველთა დამა-  
დებელისათა: იქველგულ-მოადინა: რტომან და-  
ეთისამან: ლეთი-ცხებულის: თვიმურაჲ მეფის ძე-

მან: ირაკლი პანკრატიანმა კახთა მეფემან განმგებელმან ქართლისამან: ხოლო თვით ვიღრე მე ლანაქსულ (აღნაქსულ) სჯულდებთა მართლ მივალსარემან: აღახუნა გონების ცის ნათლის ბენი: და წადიერებს ღრუბლითა შემოკობნა მწყემსნი სიტყვერთთა ქრათთანი: მტკიცესა შინა ქალაქსა ტფილისისა: საღმრთოთა სამსჯულ-მმართველოსა პალატსა შინა ყოველთა თხემისა სამოციქულის ეკლესიისათა: თანინებ ზრახვა ჯერჩინებთა: ყოვლად სანატრელსა თვთ მისეც სადაეთოს სქესითისა: მეფის ძის ანტონ პატრიარქისათა, სრულიად საქართველოს მსაჯლევლისათა: რომელთა საუყუნომაჲ ასენ კურთხევაი:

ვინადგან პირველ ამასა წარმართნი მეფენი ფლობდეს ქართველთა, რანთა, კახთა და ყოვლობითად ერსა ღთისასა და ქრისტეს ცხოვართა არა აღუნდეს წრფელად მწვენილოვანსა, არამედ აძოვებდეს ეკლთა და კუროს თავთა ზედა და ამთ მიზნითა მიერ ნათლად სჯა და სჯულის ხედვა მიფარულ იყო, და უმეცრებთა წერილისათა ვანრყენილ იყო და დანინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაი:

მაშინ ღეთის მსახურმან მეფემან ყოვლად სანატრელმან პატრიარქმან, წმიდათა მიტრაპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა, არქიმანდრიტთა, ეპისკოპოსთა და მღვდელთა სულისა მხურვალეობითა. მიიღე პირველად მტკიცე ბრძანება წმიდისა სახარებისა და სამოციქულოს კანუნისაი:

და წმიდათა შვდთა მსოფლიოთა კრებთა და წამებთა მათითა აღაესეს ნაკლულოვანება ეკლესიისა დაამტკიცენ და დაწერენ კანუნი ესე: კხ: თავთაჯიანად თვესა ნოვემბერსა: იგ: დღესა კვირაიკესა: ქრისტესი აქეთ ათას შვდას ორმოცდაარე:

უფლის ქრისტეს სძალსა ეკლესიასა შინა წმიდა ტრაპეზსა ზედა თვნიერ სახარებისა სამკვეთლოსა ოდიკისა და ჯგირის, ნურაინ ხელ-ყოფად ჟამის წირვად:

იტყვს წმიდაი ესე ღვთიე კრება, რათა აქუნდეს საკურთხეველსა კანკელს სამნი კარნი საშუალ, იმიერ და ამიერ, რომელ ესე ფრიად ჯერ არს, და კვალად სიმკრის და ეიწროვებისთჳს ეკლესიისა ორნი ოდენ ქმნას კარნი: ხოლო ერთისა კარისა ქმნას ნურაინ იცადრებს, რამეთუ უჯერო არს და უშეერ საქმე ესე. ხოლო კანკელი შეძლებნისებერ, რომლისაჲცა რისმე ქმნას ნიეთისა:

ოღეს იქნეს ჟამთაგან დაძველებული და დაგლევილი წმიდათ ოდიკი, გინა დამწვარი ცეცხლითა საშუალ, ანუ კერძო მისი გინა გარდაუფარებლად და შიშვლად იყოს წმიდაი ტრაპეზი, ანუ ამთ მი-

ზესთა მიერ წმიდაი მსხვერპლის შეწირვა დაგვიყენებიაი:

ამა კარებისა შემდგომად ვამცნებთ ყოველთა მართლ-მორწმუნეთა ქრისტიანეთა. უკეთუ ვინმე ინებონ გულს-მოადგინებითა აღშენება წმიდა ეკლესიისა, ჯერ არს მათდა, რათა წმიდა ტრაპეზი საკურთხეველისა საშეაღსზედ დადაფუძნონ, რათა გარემოთა უფლიდენ მღვდელნი ხოლო კედელსა ზედა აღკრვა წმიდის ტრაპეზისა უჯერო არს და ნურაინ იკადრებს:

ვამცნებთ ივისკოპოსთა სიტყვერთა ცხოვართასა, რათა უმეცარნი წერილისანი სადიკონნი და სამღვდლონი, რომელთა არა უწყოდენ წაკითხვა კეთილად წმიდისა სახარებისა, სამოციქულოს ეპისტოლისა, კურთხევენისა და კონდაკისა არა მიიღონ მათ ზედა კურთხევაი და ნიჭი სულისა წმიდისა, რომელი ესე სრულიად განგვადღეს, რამეთუ ვითარ ევების უმეცართაგან მსახურება წმიდისა ტრაპეზისა:

ჟამსა წმიდისასა ჟამის წირვისასა უკეთუ ოდენ არა აქნდეს ღვდელსა სანთელი აღსანთებლად და საკმეველი კმევად, ნუ იკადრებენ წირვად, არამედ დაცვადოს:

უკეთუ ოდენნი იპოენენ მღვდელნი ეკლესიისანი საეროს კაცთა მოკლეთა სამოსლითა მოსილნი აღკვართულად განწვართნენ ეპისკოპოსისაგან, რამეთუ ფრიად უშეერება არს მათდა და ღირს არიან კიცხვისაი:

ქალაქთა შინა, გინა სოფელთა შინა, ანუ სიმრავლესა შინა ერისასა, უკეთუ ოდენ იპოენენ, მღვდელნი სამხედროთა საჭურველითა აღჭურვილნი, ვამცნებთ უშეერებათა მათთა, ანუ დაღვან საჭურველნი და მახვილი მათი, და უკეთუ კულა არა ისინონ გარდაეყენენ მღვდლობისაგან:

ვამცნებთ მონაზონთა მემხოლოეთა, უკეთუ თვნიერ ნებისა და შენდობისა თვისი მამის და წინამძღერისა გამოვიდეს მონასტრით ყოვლადენ ნურაინ შეიწყნარებს მას, არამედ განაძიონ ვითარცა ურჩი ჰეშმარიტისა კანუნი და მორჩილებისა დამწინელი:

ხუტეს მონაზონსა რომელსა არა რწმუნებულ იყოს წინამძღრობა საწინამძღროსა ეკლესიისა, ჯერ არს მისა რათა ანუ თანაყვებოდეს ეპისკოპოსსა, ანუ იყოს მონასტერსა შინა ამათა თანა, გინა მამულსა და სახლსა შინა იყოფებოდეს, ესე ვითარსა მის ქცევა უწყსო არს და განგდებულ და ნულარა იკადრებს:

ვამცნებთ მღვდელთა ეკლესიისათა უკეთუ ინებონ, მოძღვრებად ერისა ანუ აღსარების შეწყნარებად სიტყვერთა სამწყსოთა, რათა პირველად მიიღონ

ბრძანება და შენდობა, თავისი ეპისკოპოსისაგან, და უკეთუ კულა არ მიიღონ შენდობა ბრძანება ეპისკოპოსისა. ნუ ოდეს იკადრებენ მოძღვრებად ერისა, რამეთუ უწესო არს:

უკეთუ ოდესმე მოვიდეს სამღვდლოთავანი, სხვა ეპისკოპოსისა, სამრევლოსა შინა, თვნიერ თანა ჯერჩინებისა და შენდობისა მის ეპისკოპოსისა, ნუ იკადრებს ქამის წირვად, გინა სამღვდლოსა საიღუმლოსა აღსრულებად. ხოლო ესეცა ჯერ არს მისა, რათა თვისისცა ეპისკოპოსისა შენდობის წიგნი აქენდეს, ვერეთეე ხუცეს-მონაწონიყა ყოფდენ ამას:

ამასცა კანონს ვამცნებთ მღვდელთა, რომელთა ენებოსთ უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, რათა მიიღონ საკურთხეველად სეფისკერანი ხუთნი ჩრეულისა იეჰლისანი, და უკეთუ არა აქენდეს იშვთად საღმე, საწნი მიიღონ, და ამათს კიდე ნამეტნავსი და ნაკლებსა ზედა ნუ იკადრებენ ქამის წირვად:

ხუცესნი და ყოვლობა სამართლ-მადიდებლოსა ქრისტიანობისა, ვითარცა უყოფდეს პატრესა წმიდა ტრაპეზსა, ვერეთეე მსგავსად პატრესცემდენ წმიდასა ემბაზსა:

უკეთუ ვიეთნიმე მღვდელნი ბრალსა გინა რისათვისმე მიზეზისა მღვდლობისაგან დაყენებულ იყენენ, ნურაინ იკადრებს ეპისკოპოსთავანი მიცემად მისა სამღვდლოსა ოლარისა, რამეთუ არცა ერთი რომელიმე საიდუმლო არა აღსრულებების მის მიერ, არამედ სრულიად დაყენებულ არს:

რომელსაცა ვისმე მღვდლოთავანსა ეკლესია ქრისტესი არწმუნებდეს მაკურთხეველისაგან, არა ჯერ არს მისა თვნიერ დიდისა ქირისა რათა დააკლოს რაიმე საეკლესიო, წესის აღსრულება ლოკივისა და წმიდაი ქამის წირვისათ:

უკეთუ კულა საღმე გამოჩნდეს სამრევლოსა შინა, ეპისკოპოსისაგან, კერპთა მიერ მოპოვებული საქმე გრძნებაი, მეჭეობა, გინა ბეჭის მხედველობა, ანუ თაყვანისცემა ხასა, გინა სხვის ნიეთისა, მიუმცნებთ ეპისკოპოსთა, რათა თვთოველმან თვსსა სამწყსოსა შინა სრულიად აღმოავდონ და განმარკლონ საქმე ესე:

ქრისტეს სძლისა და დედოფლის ეკლესიასა შინა არა წეს არს და კანუნ ნოაგობათა და ტაბლათა მიღება, გინა შინაგან და მარხვა ხილისა, და ნოაგო-

ბათა ნიეთისა და ჭამა მას შინა, რამეთუ სახლი არს სალოცველი ლეთისა:

ეპისკოპოსი და უფროსად მღვდელნი განეკრძა-ლნენ, რათა წმიდასა შინა კურიაკესა, ანუ საუფლოსა დღესასწაულსა არა დააკლდენენ ერნი მისნი ლოკივისა და წმიდისა ქამის წირვისა მოსმენად, რამეთუ ყოვლად თანამდებ არიან მისლვად:

ვამცნებთ ეპისკოპოთა მღვდელთა და ეკლესიის მოურნეთა, რათა განეკრძალებენ ჯულთა ლეთისა და არა შერიონ ნათესაობა უწესოთა ქორწინებითა, არამედ ესრეთ ყოფდენ, იყენ დასაბამ პირველი მამა, და მისგან რაი გამოეკეთენ ოთხნი ერთ კერძო, და კვლად ოთხნი ერთ კერძო:

ხოლო ესე იქმს თვნიერ დასაბამისა მის რიცხესა რესა და სრულ იქმნეს რაი ორსავე კერძოსა რიცხვ რვა, მეხუთე ერთ კერძისა და მეხუთე მეორისა კერძისა ესე მუხლნი შეიუღლიან ურთიერთ არს, და ამა მეხუთეთა ნაკლებს არავის განუჩინებთ ქმნად ქორწინებისაი:

განეკრძალებთ ზოგად ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, რათა არავინ მიიყენოს ცოლად უწესოთა ქორწინებითა დედაცა, განტეებულ ი ქრისიგან, რამეთუ ცხადად მრუმებისა ბრალსა შინა შთაფელის ვითარცა მოგვიღებებს წმინდისაგან სახარებისა, ქრისტეს ნათქვამი საღმრთო ბრძანება, ვითარმედ რომელმან განტეეებული შეირთოს მანცა იმრუმოთა. და ამასთანა ეწამებთან სამოციქულონიცა კანუნი, და ერთზობით წმიდანი შეიღნი მსოფლიონი კრებანი. და უფროს-და დიდი ბასილი, ამისთვისცა ჩვენცა ერთზობით თანამიუხმებთ და დეამტოკებთ თქმულსა მათსა, რათა რომელთაცა ესხნენ უსჯულად შეყოფილნი ქრისიგან განტეებულნი მემრუმენი დედაცანი, მყის დაიხსნას და დაირღვოს უწესო და უსჯულო ქორწინება მათა, და ამიერითგან არავის ხელეწიფოს ქმნად ესე ვითარის ცნობილის ბუობისა, ხოლო ესე ვითარნი მემრუმეთა თანა გარდაისებთან კანუნსა და უძურესსაცა, რამეთუ ცხად არს ბრალი ცოდვსა მათისა:

ხოლო უკეთუ ენებოს ვისმე ქორწინება წიგნის მკითხველსა მაკლობელსა აღსლვა საჩრისსა მღვდლობისა, პირველ კერძო დიკონად კურთხევისა მიიყენოს ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსა მეტისა, და ქორწინების

ზიარებითა აკურთხოს მღვდელმან შეერთბორცვა მათი და შემდგომად შეერთებისა, აღუდეს ხარისხსა კერძო დიაკონობისასა, და მერმე მღვდლობისასა, ხოლო უკეთუ არა ყონ ესრედ, არამედ იქორწინონ ქალისათანა უსაკოსა, გინა ჩჩვლისა და ხელდასხმულ იქმნენ დიაკნად და ხუცად და მაშინდა განჩრწან ცოლნი მათნი, რომელ ესე სრულიად უგულისხმოებისა საქმე არს და განსაგდებელ, და დაყენებულ ჩვენ ყოველთა მიერ:

მეოთხეს და მეხუთეს გინა უწესოსა მრავალქორწინებას სრულიად აღუზღვრის და განაძევს ეკლესიით მსოფლიო ესე ლეთე კრება:

ესეცა დაყენებულ არს ჩვენ ყოველთა მიერ, რათა ამიერიტვან არღარა ექორწინოს მართლ-მადიდებელი კაცი მწვალებელსა, გინა სხვა სარწმუნოებიაწა დედა-კაცსა, გინა მართლ-მადიდებელი დედაკაცი მწვალებელს მამაკაცს, რამეთუ არა ჯერ არს ერთსა ბაკსა შინასღვა ცხერისა და მგლისა

ნუოდეს ნუცა აღიქვენ შვლსა მწვალებელთასა ნათლისღებისა მიერ მართლ-მადიდებელნი, და ნუცა სენიად დაიყენებენ მწვალებელსა მართლ-მორწმუნენი, უკეთუ კულა არა თავს იღენ ესრეთ, წმიდისა ზიარებისაგან განაიყენებინ, არა ნათლად სღვისაი შემწყყარებელნი იგი;

ამასც ეკადრებთ ლეთის მსახურებისა თქვენი-სათვის კეთილ-მორწმუნენო მევენო, რათა საეპისკოპოსონი ეკლესიათა აგარაკნი და დაბანი, ანუ საარქიმანდრიტოთა და წინამძღვართა მონასტერთანი ერის კაცთა არ ხელეწიფოდეს, დამძღვრებად მამულად თჳსად მიტაცება და დამკვდრება, ამას წმიდაი ესე კრება რჯულ-გოდებთ, გვედრებით, და გამცნებთ ესე ვითარისა განუყენებისა ერისაკან:

სრულიად განჩინებითა განაგდებს სამღეთო კრება ამას, რათა ამიერიტვან არაიენ იკადროს შეყვანება ზეარაკის, გინა ცხერისა, ანუ სხვისა პირუტყვსა კარის ბჭესა შინა ეკლესიისასა და დაკლევა მას შინა, გინა სისხლის ცხება კართა და ზღურბლთა ეკლესიისათა, რამეთუ კერპთ-მსახურთა არს საქმე ესე, და არა წეს არს ქრისტიანეთაი. უკეთუ კულა ეინმე გამაჩნდეს ესე ვითარისა ცთომილისა საქმისა მოქმედი, ვამცნებთ ეპისკოპოსთა რათა განაძონ ეკლესიით, ვითარცა შეურაცხის მყოფელი ქრისტეს შჯულისაი:

ერგულე წყალობითა ლეთისათა, ლეთის მსახურმან მევენან კახთამან და მმართველმან ქართლისმან, ძემან მეფის თეიმურაზისამან წარეწვე:

ანტონი წყალობითა ლეთისათა, უღირსმან ქათალიკოზმან, დიდისა სამეფოსა ქალაქის მცხეთის, ქართლის, კახეთის, სამცხე-სათაბაგოსა და ყოვლის ქვემო საქართველოსა და აღმოსავლეთისა სასატრიარქოსამან განესაზღვრენ და წარესწერენ: ანტონი: ა

ნიკოლოზ უღირსმან ანბალავერდელმა, განესაზღვრენ და წარეწერენ: ნიკოლოზ: ა

არსენ უღირსმან არსენ ეპისკოპოსმან სამთავროსა, და გორის სამიტრაპოლიტოსმან განესაზღვრენ და წარეწერენ: არსენი: ა

ათანასი უღირსმან ეპისკოპოსმან ახელის სამეფოსა ქალაქისა ტფილისისა სამიტრაპოლიტოსმან განესაზღვრენ და წარეწერენ: ათანასი: ა

ონოფრი უღირსმან ეპისკოპოსმან ხორნაბუჯის და სრულიად ქიზიყის სამიტრაპოლიტოსმან განესაზღვრენ და წარეწერენ: ონოფრი: ა

საბა უღირსმან ეპისკოპოსმან ნინო წმიდისამან განესაზღვრენ და წარესწერენ: ა: ა

იოსებ უღირსმან ეპისკოპოსმან რუისისა და სრულიად ქართლისამან განესაზღვრენ და წარესწერენ: ა: იოსებ: ა

იოანე უღირსმან ეპისკოპოსისამან, ნეკრეს ქალაქისა და ქალაქის გარემისამან და არქიმანდრიტმა გარეჯის დიდის ლავრისამან განესაზღვრენ და წარესწერენ: იოანე: ა

ქრისტიფორე უღირსმან ეპისკოპოსმან წილკინისამან წარესწერენ: ა: ქრისტიფორე: ა

იოანე უღირსმან იპისკოპოსმან კაწარისამან განესაზღვრენ და წარესწერენ: ა: იოანე: ა

ფილიპე უღირსმან ეპისკოპოსმან ურბნისამან წარეწერენ: ა: ფილიპე: ა

ზოსიმე უღირსმან ეპისკოპოსმან ხარკისთვალისამან და მოძღვართ-მოძღვარმან წარესწერენ: ა: ზოსიმე: ა

ბემეტრეტე უღირსმან ეპისკოპოსმან სამთავისისამან წარესწერენ: ა: ბემეტრეტე: ა

დანიელ უღირსმან ეპისკოპოსმან პერემ ქალაქისამან წარესწერენ: ა: დანიელ: ა

იოანე უღირსმან არქიმანდრიტმან უპირველესისა მონასტრისა ქეთანევისა ელაქერნისა ლეთის-მშობლისამან წარესწერენ: ა

ამბაკომ უღირსმან წინამძღვარმან, კახთა მეფის კარისამან წარესწერენ:ა

იოსებ უღირსმან წინამძღვარმან ქართველთა მეფისა კარისამან წარესწერენ:ა

იოანე უღირსმან დიდის ეკლესიისა იკონომოსმან წარესწერენ:ა

ზაქარია უღირსმან ხუცესმან მეფეთა და პატრიარქის მოძღვარმან წარესწერენ:ა

გაბრიელ უღირსმან კახთა მეფისა დეკანოზმა, მეფეთა მოძღვარმან წარესწერენ:ა

აბრამი უღირსმან დეკანოზმან ალავერდისა ეკლესიისამან წარესწერენ:ა

ღმერთო შეიწყალე სულით და ხორცით კანუნისის კანდელაკი ბასილი.

ვინმე შესხა

რედაქტორი, გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხნაღება

დაზღვევის საზოგადოება

## ი ბ კ ლ რ ი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიმდევრ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველწლიური მოძრაიისა და უძარვის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვისა და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზეარეივისაგან, რომელიც დგას ევლიამინოვის ქუჩაზე № 2.

# „ კ ვ ბ ლ ი “

გამოვა 1894 წელს უოკელ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თანხამდის იმავე პრიორამით

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით შინ დაიბარა პეტერბურლიდან მრაველი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შეიდი მან., ხოლო გაგზავნით რვა მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3 მან. თითო ნომერი 20 კაპ.

## ხელის მიწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, \*წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში\* ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „კვალს“ რედაქციას Тифლისь Редакция „Квали“, (Большая Водовозная, № 22, домг. Айвазова.

ქალქ გარეთ: —ჭუთასისა: სებათა შორის ე. ბეგენიშვილისა და ხეთერელის წიგნის მაღაზიებში. —ბათუმში: მათე ნიკოლაძის ტურნალ-გაზეთის სააგენტოში. —აქოში: ესტატე ბორისისძე ამამუყელთან. —გორში: ზაქარია დავილოვთან. —უგრიდაში: თ. ხუსკიძესთან, ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან. —ახალსენაკში და ოსურგეთში: კ. თავართქილაძესთან. —სამსრეკში: ყარამან ჩხეიძესთან. —თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიურ „კვალის“ ხელის-მომწერობებს 1894 დაურიგდებთ საჩუქრად მხატვრობა „საქართველოს დიდება“ სამრეგლო და სასოფლო სკოლის მასწავლებლებს და სახალხო წიგნის საკითხავეებს დაემოზათ „კვალი“ 7 შ.